

შირვანის ლიტერატურული სკოლა:
პოეტი ქალი მეჰსეთი განჯავი

THE LITERARY SCHOOL OF SHIRVAN:
POETESS MEHSETI GANJAVI

მანანა კვაჭაძე
Manana Kvachadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შირვანი, განჯა, პოეტი ქალი, მეჰსეთი
Keywords: Shirvan, Ganja, Poetess, Mehseti

XII საუკუნეში შირვანშაჰთა კარზე ჩამოყალიბდა მძლავრი სპარსულენოვანი ლიტერატურული სკოლა. საქვეყნოდ ცნობილია სახელები ისეთი დიდი პოეტებისა, როგორებიც არიან: აბუ-ლ-ალა, ფალექი, ხაყანი... შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო, თითქმის ლეგენდარულ პიროვნებად არის მიჩნეული ამ წრის წარმომადგენელი, ერთობ ფრივოლური პოეტი ქალი მეჰსეთი. იგი გამოირჩევა თავისი წინააღმდეგობრივი ბუნებითა და თამამი ლექსებით.

წინააღმდეგობრივია ცნობები მისი ბიოგრაფიის, პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ლიტერატურის მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში შემონახული მწირი ცნობები მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა; ნაირგვარ ცნობებს გვანვდიან მის შესახებ ძველი თებქერეების ავტორები (დოვლათშაჰი სამარყანდელი, ჰამდალლაჰ ყაზვინელი), რაც ევროპელ მკვლევართა (ბრაუნი, ჰორნი, ვამბერი) სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევს.

არაერთგვაროვანია მისი თახალოსის (ლიტერატურული ფსევდონიმის, საპატიო წოდების) ეტიმოლოგიაც. თანხმობებით გადმოცემული სპარსული შესიტყვება სხვადასხვა გახმოვანებით იკითხება: მეჰსეთი, მაჰსათი, მაჰასთი, მაჰისთი... და ეს წოდება ხან *მთვახეს* უკავშირდება, ხან – *დიდ, დიდებულ ქაღბაგონად* გაიაზრება (ბერტელსი, ბრაუნი).

მეტისმეტი სითამამის, პიკანტური შინაარსის მქონე რობაიების მოურიდებელი დემონსტრირების გამო მცდელობაც კი იყო (თუმცა წარუმატებელი) მისი მამაკაც პოეტად წარმოჩენისა. მისი, როგორც რეალური პიროვნების არსებობაც კი გამხდარა საეჭვო...

ძველი თებქერეების მიხედვით, მეჰსეთი „დიდი სელჩუკის“ – სანჯარის (1118-1157) მონა-მხევალი იყო, ხოლო ერთხელ, ერთი ოთხტაეპიანი ლექსის (რობაიის) ექსპრომტად წარმოქმნის შემდეგ – მისი კარის პოეტი და მომღერალი. სხვა ცნობით, მეჰსეთი პოეტ თაჯად-დინ აჰმად იბნ ჰათიბ განჯავის ჯერ სატრფო, შემდეგ კი მეულლე გახლდათ. ამ სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს პოეტ ჯაჰარის რომანი. ნაწარმოები გამართულია პოეტური გასაუბრების ენით. ლექსები გამოირჩევა სახე-ხატების მრავალფეროვნებით, სიტყვათა თამაშით. სავარაუდოდ, ლექსითი

დიალოგის მნიშვნელოვანი ნაწილი მოარული რობაიებით არის განწყობილი.

ბოლოდროინდელი კვლევებით დასტურდება, რომ პოეტი ქალი, მეჰსეთი, რეალურად არსებული პირია; დაიბადა განჯაში 1089 წელს, მიიღო, თავისი დროის კვალობაზე, შესანიშნავი განათლება, კარგად თამაშობდა ჭადრაკს, კარგად იცნობდა აღმოსავლურ პოეზიას, მუსიკას; ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი მელექსე და მომღერალი; შირვანშაჰთა კარზე მონაწილეობდა პოეტურ შეკრებებსა და ასპარეზობებში.

ლიტერატურა:

Browne E. (2013). A literary history of Persia: 4 volumes, London: "Routledge".

Ripka J. (1968). History of Iranian literature, Dordrecht: "D. Reidel".

Azerbaijan Tarixi (2007). Baki: "Elm".

Бертельс Е. (1962). Низами и Фузули, Москва: "ИВЛ".

Крымский А. (1981). Низами и его современники, Баку: "ЭЛМ".

In the 12th century, a powerful Persian literary school was developed at the royal court of Shirvan Shahs. This school included world famous poets like Abu-L-Ala, Falak, Khaqani... One of the most interesting, almost legendary persons in this poetic circle is a frivolous poetess Mehseti. She is distinguished by her controversial nature and bold poems.

The data of her biography, personal life and literary activities are also controversial. The scarce data preserved in literary museums and libraries allow diverse interpretations; the authors of old tezkeres (Dawlatshah Samarqandi, Hamdallah Qazvini) provide diverse information, which leads to the skeptical attitude of European scholars (Browne, Horn, Vambery).

The etymology of her Takhallus (literary pen-name, honorary title) is also diverse. The Persian collocation of consonants is read in

different ways: Mehseti, Mahsati, Mahasti, Mahisti... Hence, the title is related either to the *moon* or a *great, glorious lady* (Bertels, Browne).

Due to the bold and piquant nature and unbridled demonstration of feelings in her rubayat, there was even an attempt to consider her as a male poet (however, this attempt failed). Some scholars even doubted that she was a real person...

According to old tezkeres, Mehseti was a maidservant of “Great Seljuk” – Sanjar (1118-1157). Later, after impromptu reciting one four-line verse (rubai), she became Sanjar’s court poetess and singer. According to other data, Mehseti was first a mistress of the poet Taj ad-din Ahmad ibn Hatif Ganjavi and later became his wife. The novel written by the poet Jahar tells about this love affair. The novel is written in the style of a dialogue. The verses are distinguished by the diversity of images and abundance of puns. It is highly probable that an important portion of the poetic dialogue is formed by popular rubai.

Recent research has proved that Mehseti was a real person born in Ganja in 1089. She was well-educated for her period, was good at playing chess and well aware of oriental poetry and music. Mehseti herself was famous for her poetry and singing. At the royal court of the Shahs of Shirvan, she often took part in the poetic meetings and contests.

References:

Browne E. (2013). A literary history of Persia: 4 volumes, London: “Routledge”.

Ripka J. (1968). History of Iranian literature, Dordrecht: “D. Reidel”.

Azerbaijani Tarixi (2007). Baki: “Elm”.

Бертельс Е. (1962). Низами и Фузули, Москва: “ИВЛ”.

Крымский А. (1981). Низами и его современники, Баку: “ЭЛМ”.